# გუშინ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 52-ე წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 38 (4032)
24 თებერვალი, შაბათი. 1970 წ.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





გ. ნაპალკოვი.

## ოცდაათიდან თოთხმეტი

შტრბსკე-პლესო, 22 თებერვალი. დღეს ფინიში ჰქონდა თხილამურებით რბენასა და ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიოს 28-ე ჩემპიონატს, რომელიც 8 დღეს გაგრძელდა. გუშინ ოქროს მედლები დიდი ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. როგორც ვიტყობინებოდით, სსრ კავშირის „მფრინავი მოთხილამურეების" კვარტეტიდან საშუალო ტრამპლინზე ყველაზე ცუდი შედეგი მოსკოველ ა. ივანიკოვს ჰქონდა, ამიტომ მწვრთნელებმა იგი ახლა ლენინგრადელი ვ. ჟეგლანოვით შეცვალეს.

წაქაძემ საცდელ ნახტომში 90,5 მ აჩვენა, პირველი ცდით 90 მეტრზე გადახტა და მეორე ცდის წინ XIII ადგილზე იყო. მას თითო მეტრით აჯობეს ნაპალკოვმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რაშკამ (ჩეხოსლოვაკია), 2 მეტრით — პოლონელმა გონსენიცამ, 3 მეტრით — მასპინძელმა კოდეიშკამ და შმიდტმა (შვეიცარია), სამნახევრით — ბაჰლერმა (ავსტრია) და კიაიუჰკიომ (ფინეთი). ლიდერებიდან ყველაზე შორს (95 მ) ავსტრიელი კროლი გადახტა.

მეორე ცდის წინ წაქაძემ ყველა ეს შედეგი, ცხადია, იცოდა, ამიტომაც გაბედულად აირეკნა, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ დაეშვა, წონასწორობა დაერღვა და, თუმცა 98 მეტრზე გადახტა, სტილში დაჯარიმდა. საბოლოოდ — 199,5 ქულა (22-ე ადგილი).

პირვანდელი შედეგები გააუმჯობესა ყველა მისმა მეტოქემაც: რაშკა — 99 მ, კროლი — 99,5, გონსენიცა — 100,5, კიაიუჰკიო — 101, შმიდტი — 102...

ბრწყინვალედ გადახტა ნაპალკოვი. მან ყველას აჯობა — 109,5 მ! ეს ტრამპლინის ახალი რეკორდია. ნაპალკოვმა საბოლოოდ 226 ქულა დააგროვა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ამ წუთიდან იგი შტრბსკე-პლესოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი იყო. მეორე პრიზიორს — რაშკას ნაპალკოვმა 13,7 ქულით აჯობა. ბრინჯაოს პრიზიორმა გონსენიცამ 211,8 ქულა დააგროვა.

მაგრამ ეს საბჭოთა მოთხილამურეების ბოლო წარმატება როდი იყო. დღეს მოასპარეზე მარათონელებს ძნელი პირობები შეხვდათ. ხვავრიელად თოვდა, სპორტსმენებს კი 25-კილომეტრიანი წრე, რომლის მე-11 კილომეტრიდან ორკილომეტრიანი აღმართი იწყებოდა, ორჯერ უნდა გაევლოთ, სტარტი და ფინიში ზღვის დონიდან 1368 მეტრზე მოეწყო, ზოგჯერ კი სპორტსმენები 1500 მეტრზეც ადიოდნენ. ერთი სიტყვით, უშელავათო ბრძოლაში ის გაიმარჯვებდა, ვისაც შესანიშნავი ფიზიკური და მორალური მომზადება ჰქონდა.

ძნელი ბრძოლის სტარტზე 56 მოთხილამურე გამოვიდა (ერთმა უარი თქვა). მათგან ბევრმა ვერ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას—ოციოდე კილომეტრის შემდეგ ტემპს უკლო. როცა ფინიშამდე 10 კმ დარჩა, ასპარეზობა დაიძაბა. ამ მომენტისთვის ლიდერობდა გ. გრიმერი (გდრ). იგი მოსკოველ ვ. ვედენინს 13 წამს უგებდა. III ადგილზე მიდიოდა ფინელი კ. ოიკიარიაინენი.

მოწინავე ექვსეულში იყვნენ, აგრეთვე, ლ. ასლუნდი (შვეცია), ჰ. ტაიპალე (ფინეთი), ვ. დემელი (გფრ). 5 კმ-ის მერე გრიმერს ვედენინი კიდევ 1 წამით ჩამორჩა. ეს ვედენინმა კარგად იცოდა, ვინაიდან მას, ისევე როგორც სხვებს, თანაგუნდელები და მწვრთნელები ბრძოლის მსვლელობაზე ახალ-ახალ ინფორმაციებს აწვდიდნენ.

ვედენინმა მიზნად დაისახა დარჩენილ მონაკვეთზე გრიმერთან ჩამორჩენა გამოესწორებინა და ტემპს უმატა. მან ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა, მაგრამ უფრო რთული ამოცანა ამოხსნა ოიკიარიაინენმა: მან ოქროს მედალი მოიხვეჭა — 2:49.34,70. გრიმერი ახლა, ალბათ, ვერცხლის მედალზე ოცნებობდა, მაგრამ ისიც ვედენინმა წაართვა — 2:50.04,83. საბოლოოდ გრიმერი ბრინჯაოს დასჯერდა — 2:50.12,88.

გამოცდა კარგად ჩააბარა ფ. სიმაშოვმაც — IV ადგილი დაიკავა (2:51.52,44).

ჩემპიონატი დამთავრდა. სსრ კავშირის სპორტსმენები შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ — 30 მედლიდან 14 დაისაკუთრეს (7 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო). არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მათ 86 ქულა დააგროვეს, მაშინ, როცა II ადგილის მფლობელს, — გდრ-ის კოლექტივს 59 ქულა აღმოაჩნდა.

მომდევნო ადგილებზე არიან ფინეთის, ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები.

ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

## ახალი ამბები

● ხარკოვი, 22 თებერვალი. შეიარაღებულ ძალთა ძალოსნების აქ მიმდინარე პირველობაში შესანიშნავად იასპარეზა 18 წლის ქვემსუბუქი წონის ათლეტმა რ. მუხამედოვმა. სამჭიდში მან 340 კგ დააგროვა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია იუნიორთა შორის და 2,5 კგ-ით აღემატება ძველ მიღწევას.

● სან-დიეგო (აშშ), 22 თებერვალი. 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ლ. ევანსმა აქაურ დარბაზში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა დაამყარა 500 იარდზე (457 მ) რბენაში — 54,5 წამი. ნიუიორკელმა ტ. ვან რუდენმა 1000 მ 2 წუთსა და 21 წამში გაირბინა.

● უფა, 22 თებერვალი. ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის აქ გამართულ ნახევარფინალში ყველას აჯობა ნოვოსიბირსკელმა ი. დუბინინმა — 28 ქულა. II ადგილზე გავიდა წინა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ი. ლამბოცკი (ლენინგრადი). ამათ გარდა კიდევ ექვსმა უცხოელმა მრბოლელმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება, რომელიც 8 მარტს აიდესში სტარტს შვეციაში.

## საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი დღის მატჩები

1 მარტს იწყება საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. მოგვყავს პირველი დღის შეხვედრათა კალენდარი.

„შუქურა" (ქობულეთი) — „იმერეთი" (თერჯოლა), „ენგური" (ზუგდიდი) — „ისანი" (თბილისი), „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მზიური" (გალი), „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „მშენებელი" (ბორჯომი), „სინათლე" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „კოლხეთი" (ცხაკაია) — „სამცხე" (აწყური), „სქური" (წალენჯიხა) — „ბახმარო" (ჩოხატაური), „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ფეიქარი" (წულუკიძე), „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ქართლი" (გორის რაიონი), „მეტალურგი" (რუსთავი) — ასკ (თბილისი), „ცისკარი" (სიღნაღი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

## კიდევ ერთი „ოქროს ნათხილამურევი"

ესტერსუნდი, 22 თებერვალი. მსოფლიო ჩემპიონატში აქ მოასპარეზე საბჭოთა ბიატლონისტებმა ოქროს კიდევ ერთი მედალი მოიგეს — ამჯერად, 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში სროლით. ა. ტიხონოვმა (ნოვოსიბირსკი), რ. საფინმა (ლენინგრადი), ა. უშაკოვმა (იჟევსკი) და ვ. მამატოვმა (ნოვოსიბირსკი) ეს მანძილი 2 საათში, 7 წუთსა და 49 წამში (1 საჯარიმო წუთი) დაფარეს.

II ადგილზე გავიდნენ ნორვეგიელები — 2:13.25,0 (5 საჯარიმო წუთი), III — გდრ-ის ბიატლონისტები — 2:14.45,9 (4).





ეს სურათები ამას წინათაა გადაღებული ბაკურიანში, როცა იქ სსრ კავშირის თასისთვის იბრძოდნენ ქვეყნის საუკეთესო მოთხილამურეები. ეს შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია იყო. აქაც სწორედ ისინი არიან ალბეჭდილი, ვინც შტრბსკე-პლესოს თოვლიან ბილიკებზე ოქრო მოიხვეჭა. თავდაპირველად იჟევსკელმა სპორტის ოსტატმა გ. კულაკოვამ, რომელმაც ბაკურიანში 5 და 10 კმ-ზე რბენა მოიგო, მაღალმთიან ტატრებში 5 კმ-ზე რბოლაში ყველა დაამარცხა. შემდეგ, 10-კილომეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მოიგო გორკელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ოლიუნინამ (აქ ბრინჯაო კულაკოვას დარჩა). და აი, ქალთა პროგრამის ბოლო სახეობაში 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში ამ დუეტს დაემატა ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ნ. ფიოდოროვა (იგი ტატრებში მესამე იყო 5 კმ-ზე ასპარეზობაში). ამ სამეულმა გამოცდა კვლავ ბრწყინვალედ ჩააბარა: გრენობლის ოლიმპიადაში სსრ კავშირის ტრიოს ბრინჯაოს მედალი ოქროდ „გადაადნო" — 54.32,18.

სურათებზე (ზევიდან): ნ. ფიოდოროვა, გ. კულაკოვა, ა. ოლიუნინა.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტი საბჭოთა არმიაში

*გუშინ შესრულდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 52 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ააჲ-ის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ფილიპოვს.*

**● ყველა დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში შეგიძლიათ ნახოთ ათლეტები, რომლებიც ცსკა-ს ემბლემით გამოდიან. როგორია არმიელი სპორტსმენების შედეგები ამ ბოლო ხანს?**

— სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ყოველწლიურად 1200-ზე მეტ სპორტის ოსტატსა და 80-ზე მეტ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ამზადებენ. შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატებმა საბჭოთა სპორტსმენებს ოქროს 116 მედალი მოუტანა, აქედან 42 უმაღლესი ჯილდო სამხედრო მოსამსახურეთა ანგარიშზე მოდის. დიდი წვლილი მიუძღვით არმიელ ოლიმპიელებსაც: მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მათ ოქროს 17, ვერცხლის 27 და ბრინჯაოს 17 მედალი მოიპოვეს.

საბჭოთა არმიაში ბევრი გამოჩენილი სპორტსმენია აღზრდილი. ოდესის სამხედრო ოლქში დაიწყო სამსახური ძალოსანმა ლ. ჟაბოტინსკიმ. მაშინ მას მხოლოდ II თანრიგი ჰქონდა ძალოსნობაში, ამჟამად კი მსოფლიოში განთქმული ათლეტია, ოლიმპიადებში ორგზის გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მინდა დავასახელო კიდევ ერთი ნიჭიერი ძალოსანი — ვ. კრიშჩიშინი. ამ ცოტა ხნის წინ მას არავინ იცნობდა, დღეს კი საბჭოთა არმიის სერჟანტი კრიშჩიშინი მსოფლიოს პირველი ჩემპიონია ძალოსნობაში ახალ წონით კატეგორიაში — 52 კილოგრამამდე. მარტო შარშან მან ექვსჯერ გააუმჯობესა ოფიციალური მსოფლიო რეკორდები აჭიმვაში. კრიშჩიშინი გახდა სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი უმჩატეს წონით კატეგორიაში. მან მოხსნა ოთხიდან სამი მსოფლიო რეკორდი, მათ შორის, სამჭიდშიც.

საბჭოთა სპორტს დიდება მოუტანეს სამხედრო მოსამსახურეებმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნიჩბოსანმა ვ. ივანოვმა, რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ველოსიპედისტმა ვ. კაპიტონოვმა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, მოფარიკავე გ. კრისმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოკრივე ო. გრიგორიევმა, ევროპის 1969 წლის ჩემპიონმა სროლაში ვ. პარხიმოვიჩმა. შეგვიძლია ეს სია კიდევ გავაგრძელოთ.

**● რამ უზრუნველყო ასეთი დიდი მიღწევები?**

— არმიელი სპორტსმენების წარმატების საიდუმლოება, პირველ ყოვლისა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სპორტულ-მასობრივი და ფიზიკური მომზადების კარგად მოფიქრებულ ორგანიზაციაში უნდა ვეძიოთ. საბჭოთა არმიაში საერთო ფიზიკური და სპორტული ნორმატივები მკვეთრადაა განსაზღვრული მეომრების სამსახურის პროფილის შესაბამისად.

ყოველი ჯარისკაცის ფიზიკური მომზადება განისაზღვრება ისეთი ძირითადი ჩვევებით, როგორიცაა გამძლეობა, ძალა, სისწრაფე, სიმარდე, ცურვის, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის, გარკვეულ პირობებში განსაკუთრებული ილეთების ჩატარების უნარი. ამის მიღწევა შეიძლება სპორტის სამხედრო-გამოყენებითი სახეობებით, რაც აუცილებელია საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყველა მოსამსახურისთვის.

საბჭოთა არმიაში ყოველწლიურად ტარდება სამხედრო მოსამსახურეთა სპორტული ზრდის დათვალიერება, რომელშიც შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა მონაწილეობს. ამას გარდა, ყველასთვის აუცილებელია კროსსა და სათხილამურო შეჯიბრებებში გამოსვლა. მოთხილამურეებისთვის რბოლის დისტანცია 10 კილომეტრია, კროსმენებისთვის — სამი. როგორც წესი, აქ ტურნირებში გამარჯვებულთაგან ადგენენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრებ გუნდებს.

**● რომელ შეჯიბრებებში გამოვლენ არმიელი სპორტსმენები საიუბილეო 1970 წელს?**

— სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ემზადება ღირსეულად შეხვდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. უკვე შარშან მეგობრული არმიების II საზაფხულო სპარტაკიადაში (კიევი), რომელიც ამ დიდ თარიღს მიეძღვნა, საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა გულშემატკივრები კარგი სტარტებით გაახარეს. სპარტაკიადის მსვლელობაში ნაჩვენები 9 შედეგი სჯობდა მსოფლიოს ოფიციალურ შედეგებს სროლასა და ძალოსნობაში. ამას გარდა, განახლდა მეგობრული არმიების 84 რეკორდი.

სპორტული მიღწევების ამ ესტაფეტას, მიძღვნილს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დაბადების 100 წლისთავისადმი, საბჭოთა არმიელები ღირსეულად ატარებენ საიუბილეო წელსაც, რომელიც რეკორდების სიუხვეს გვპირდება. განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს მეგობრული არმიების 16 ჩემპიონატი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საბჭოთა კავშირში გაიმართება ხუთი ტურნირი: წყალბურთში, საპარაშუტო სპორტში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში, მოტოსპორტსა და ცურვაში. ორ ჩემპიონატს ჩაატარებს ბულგარეთი: მძლეოსნურ კროსსა და თავისუფალ ჭიდაობაში, სამს — უნგრეთი: ცხენოსნობაში, ტანვარჯიშსა და ჭადრაკში. პოლონეთში შედგება ჩემპიონატები ველოსპორტსა და თანამედროვე ხუთჭიდში, გდრ-ში იასპარეზებენ სილუეტებზე მსროლელები, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ფრენბურთელი ქალები. რუმინეთი ჩაატარებს ტურნირს ჰოკეიში, ჩეხოსლოვაკია—სასროლო სპორტში (სრული პროგრამით).

საბჭოთა სამხედრო მძლეოსნები მოაწყობენ გადარბენას სსრ კავშირის ლენინური ადგილების გავლით: მოსკოვი — ულიანოვსკი — ყაზანი — ლენინგრადი — მოსკოვი. ამ გადარბენას სათავეში ჩაუდგება ცნობილი მარათონელი ფ. ვანინი. მორბენლების ფინიში შედგება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში 9 მაისს, ფაშიზმზე საბჭოთა არმიის გამარჯვების 25 წლისთავის დღეს.

**● მეგობრული არმიების სპორტსმენები, ალბათ, მარტო ამ შეჯიბრებებში არ შეხვდებიან ერთმანეთს.**

— მართალია. მეგობრული არმიების სპორტული კომიტეტი რეგულარულად აწყობს შემოქმედებით სემინარებს, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს, ლექციებს, რომლებზეც ცნობილი სპორტსმენები და მწვრთნელები მოხსენებებით გამოდიან, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, არმიელი სპორტსმენების ოსტატობის სრულყოფის შემდგომ გზებს სახავენ. შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, საბჭოთა არმიის, გდრ-ის ეროვნული სახალხო არმიის, პოლონეთის არმიისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მძლეოსანთა ერთობლივი შეკრება, აგრეთვე, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა და ფეხბურთელთა ერთობლივი სასწავლო შეკრება.

ასეთი შეხვედრები ერთმანეთს აახლოებს სოციალისტური ქვეყნების არმიელ სპორტსმენებს და ხელს უწყობს მათი ოსტატობის ზრდას. საინტერესოა, რომ ამჟამად კომიტეტში, აზიის და ევროპის მეგობრული არმიების წარმომადგენლების გარდა, შედის ლათინური ამერიკის წარმომადგენელი კუბა — ამერიკულ კონტინენტზე პირველი სოციალისტური ქვეყანა.

**● სად და როდის უნდა ჩატარდეს მეგობრული არმიების ზაფხულისა და ზამთრის III სპარტაკიადები?**

— ზამთრის III სპარტაკიადის ჩატარება ნავარაუდევია პოლონეთის ქალაქ ზაკოპანეში გაისად. 1974 წლის III საზაფხულო სპარტაკიადის ორგანიზატორი ქვეყნის დასახელება ჯერჯერობით შეუძლებელია: კომიტეტის მორიგ სხდომაზე განიხილება ერთ-ერთი სოციალისტური ქვეყნის კანდიდატურა.

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის

# შედეგმა მიზანი ვერ გაამართლა

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში ფაქტიურად მაშინ დაიწყო, როცა აქტივის კრებებზე IV საიუბილეო სპარტაკიადის შედეგებს განვიხილავდით. მაშინ მიღწევებზეც სიამაყით ვლაპარაკობდით და არც ხარვეზები დაგვიფარავს, ვსახავდით გზებს, რათა 1967 წლის ტურნირებში გამოვლენილი ნაკლოვანებები შემდეგში აღარ გამეორებულიყო. მეხიკოს ოლიმპიური თამაშების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრების წაგებამ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს ახალი ამოცანები დაუსახა. მათზე პასუხი სწორედ ხალხთა მომავალმა სპარტაკიადამ უნდა გასცეს. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა შეიმუშავა ჩათვლის ახალი სისტემა, რომლის ძალითაც სპარტაკიადაში ვერ გამოვლენ ისინი, ვისაც, საპრიზო ადგილებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩასათვლელი ქულების მოპოვება მაინც არ შეეძლება.

წლევანდელი შეჯიბრებები მიზნად ისახავს უმეტესად სწორედ ასეთი საიმედო ათლეტების გამოვლინებას, რათა სპარტაკიადამდე დარჩენილ პერიოდში მათი სახით ნაკრებმა გუნდებმა სათანადო შევსება მიიღონ.

საქართველოს მძლეოსნების რეზერვის შემოწმება იყო ამას წინათ თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარებული იუნიორთა (1950-51 წ. წ. დაბადებულთა) რესპუბლიკური ტურნირის მიზანი. მაგრამ მიზანი არ გამართლდა — დამაკმაყოფილებელი შედეგები ისევ უკვე ცნობილმა სპორტსმენებმა აჩვენეს. არც ერთი ახალი სახელი, არც ერთი სარეკორდო შედეგი.

მართალია, ეს იყო სეზონის პირველი შეჯიბრება საქართველოში, მაგრამ დაბალი მაჩვენებლების მიზეზი მარტო ეს როდი გახლდათ. საქმე ისაა, რომ ბევრი სპორტსაზოგადოება და უწყება ამ ასპარეზობას ზერელედ მოეკიდა. მაგალითად, ტურნირში „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ არც ერთი მძლეოსანი არ გამოვიდა. ამ მხრივ თავი ვერც სხვა საზოგადოებებმა გამოიჩინეს. უყურადღებობა განსაკუთრებით არ ეპატიება „ბურევესტნიკს“. იუნიორთა ასაკის ახალგაზრდების დიდი ნაწილი სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი თავმოყრა (აღარაფერს ვამბობთ მათთან რეგულარულ ვარჯიშზე) ამ საზოგადოებამ ვერ შეძლო და საერთო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ III ადგილს დასჯერდა (121 ქულა).

ამჯერად ქების ღირსია „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო, რომელმაც სხვებს იმით აჯობა, რომ გუნდი მთლიანად დააკომპლექტა, ჩათვლა თითქმის ყველა სახეობაში მიიღო, საბოლოოდ 155 ქულა დააგროვა და 33 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს — „სპარტაკს“.

რესპუბლიკის მძლეოსანთა მთავარი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი რ. ტრაპაიძე ძალიან შეშფოთებულია სპორტსაზოგადოებათა საბჭოების ამგვარი გულგრილობით და იმითაც, რომ შედეგების უმეტესობა ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. გამონაკლისი იყო რამდენიმე სპორტსმენი — რესპუბლიკური ნაკრების წევრები ლ. კორკოტაძე, ნ. ლომიძე, ა. მიქოიანი, რ. ჩუბინიძე და ზ. ქავზინაძე, მაგრამ სეზონის დასაწყისისთვის დამაკმაყოფილებელი ორიოდე შედეგით მძლეოსნობაში ამინდს ვერავინ შექმნის.

ნათელა ლომიძემ („ბურევესტნიკი“) იოლად მოიგო 100 მეტრზე რბენა (12,7) და სიგრძეზე ხტომა (543), მიქოიანი („ბურევესტნიკი“) პირველი იყო 1500 (4.12,8) და 3000 მეტრზე (8.56,2) ასპარეზობაში, 400 მეტრზე ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა „ბურევესტნიკელმა კორკოტაძემ (1.03,5) კი მეორე პრიზიორს, დინამოელ ნ. მაიოროვას 3,4 წამით აჯობა.

გამარჯვებულთაგან II თანრიგის შედეგები ჰქონდათ: ბირთვის კვრაში — თ. ბლიაძეს (13,55), 400 მეტრზე რბენაში — ბ. ასათიანს (52,7), 800 მეტრზე რბენაში — ქავზინაძეს (2.00,2), ბირთვის მკვრელ ქალთა შეჯიბრებაში — ნ. მაისურაძეს (11,65). ყველა ეს სპორტსმენი „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელია, მაგრამ ამ საზოგადოებას არც ეს ამართლებს.

მეტად უხეირო იყო სიმაღლეზე მხტომელი ქალების მომზადების დონე. შეჯიბრება მათ 95 სმ (!) სიმაღლეზე გადებულ თამასაზე დაიწყეს და თ. ზვიადაძე („კოლმეურნე“), რომელმაც III ადგილი მოიპოვა, ტურნირს I მეტრის დაძლევის მერე გამოეთიშა. ლ. ვორონკოვამ („ბურევესტნიკი“) კი 145 სმ-ის გადალახვით გაიმარჯვა.

100 მეტრზე თარჯრბენის სტარტზე 3 მონაწილე გამოვიდა, 1500 მეტრზე რბენაში კი 2 ქალი ასპარეზობდა. ქალთა ესტაფეტაში 800+400+200+ 100 მ მარტო „კოლმეურნისა“ (5.06,2) და „სპარტაკის“ (5.11,0) გუნდები იბრძოდნენ.

100 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვება დარჩა სპორტსმენს, რომელმაც მეორე თანრიგის შედეგიც კი ვერ აჩვენა: სპარტაკელმა რ. ბუკიამ ამ მანძილის გარბენას 11,6 წამი მოანდომა.

აი, სხვა გამარჯვებულთა მაჩვენებლები. **ქალები.** **რბენა 800 მ.** ც. წყაროზია („კოლმეურნე“) — 2.52,4, **1500 მ.** წყაროზია—6.08,5, **100 მ თარჯრბენი.** ჩუბინიძე („განთიადი“) — 17,4. **ვაჟები.** **ესტაფეტა 800+400+200+100 მ.** „განთიადი“ — 3.45,4, **110 მ. თარჯრბენი** — ვ. კუძიევი („დინამო“) — 19,0, **სიმაღლე.** რ. ციციაშვილი („განთიადი“), კუძიევი — ორივე 165 სმ, **სიგრძე.** ა. კუცოვი („ბურევესტნიკი“), თ. ჩიბაძე („კოლმეურნე“) — ორივე — 632 სმ, **სამხტომი.** თ. ჯოხაძე („სპარტაკი“) — 12,72.

კიდევ კარგი, შეჯიბრების პროგრამაში მძლეოსნობის ყველა სახეობა არ იყო, თორემ...

**ო. გელაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** ნ. ლომიძე სიგრძეზე ხტომის დროს; 1500 მეტრზე რბენაში ვაჟთა შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ავტორისა.





## ✦ თბილისი

დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. ტურნირში 32 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ა. წერეთელმა. II-VII ადგილები გაიყვეს ბ. გვენცაძემ, ა. ხუციშვილმა, მ. ჭიპაშვილმა, გ. რუხაძემ, გ. ოგანოვმა და გ. ბადალიანმა.

**ო. ალხანიშვილი,**
**პირველობის მთავარი მსაჯი.**

## ✦ ქუთაისი

აქ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საქალაქო პირველობა, რომელშიც 2 ოსტატობის კანდიდატი, 10 პირველთანრიგოსანი და ერთი გოგონა — დ. გამყრელიძე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ა. რაზოვსკიმ. II ადგილი დაიკავა ზ. ბურკაძემ, III — ა. მიქაბერიძემ.

**ჯ. ფხაკაძე.**

## ✦ სოხუმი

გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ადგილობრივი № 1 ბავშვთა სპორტსკოლისა და სოჭის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. აფხაზეთის გუნდის ღირსებას იცავდნენ: სპორტის ოსტატები რ. კოკოშვილი, ლ. ლავრენტიევა, პირველთანრიგოსნები ზ. ჩოჩია, ნ. არქანია, ი. ჩერნოვა და სხვ.

**გ. პოლოსიანი.**

## ✦ სამტრედია

გაიმართა „ლოკომოტივის“ სამტრედიის განყოფილების პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ტ. ჩარკვიანმა, ა. სულაქველიძემ, ლ. სეფისკვერაძემ, ჯ. დავითულიანმა, ვ. ქორიძემ, ა. ჩოგოვაძემ (ყველა — ქუთაისი), ი. ბუბაშვილმა, ნ. გოგიტიძემ, ე. ნაცვლიშვილმა და ი. გეგეშიძემ (ყველა — სამტრედია). გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ქუთაისელებმა.

**ჯ. ვაშაკიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის „ტორპედო“ და მისი პრობლემები

ნამდვილი საფეხბურთო ამინდი იდგა სოჭში გასულ შაბათს, 21 თებერვალს: თბილი, მზიანი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით, რომლებსაც 2 საინტერესო საკონტროლო მატჩი უნდა ენახათ: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) და „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

ქუთაისელთა მატჩის შედეგი გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, თუ რა შემადგენლობებით თამაშობდნენ მეტოქეები, როგორ მიმდინარეობდა შეხვედრა, რა მოხდა ღირსშესანიშნავი მინდორზე.

ჯერ შემადგენლობათა შესახებ: „სპარტაკი“ — ლისიცინი (ბელეი), ოლშანსკი, ივანოვი, პეტროვი (კურკინი), კალინოვი, აბრამოვი, კნიაზევი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, იანკინი, სილაგაძე; „ტორპედო“ — გრძელიშვილი, კოსტავა (აბზიანიძე), შერგელაშვილი, წვერავა, ჩხაიძე, ქიქავა, ანფიმიადი, ნაჭყებია, ვეკუა, ხერხაძე, დელბა (ასიტაშვილი). მსაჯობდა პ. სტრენცისი (რიგა).

როგორც ხედავთ, ორივე გუნდს აკლდა წამყვანი მოთამაშეები. „სპარტაკს“ — ნაკრების წევრები (კავაზაშვილი, ლოვჩევი, ლოგოფეტი, კისელიოვი, პაპაევი), „ტორპედოს“ — ებრალიძე, ერქომაიშვილი, ოქროპირაშვილი. სპარტაკელთა დანაკლისი, რა თქმა უნდა, მეტი იყო, მაგრამ მათი რეზერვები, ე. წ. „სათადარიგო სკამი“, გაცილებით მდიდარია და, ამდენად, გუნდი უფრო ინარჩუნებს საერთო სიძლიერეს.

მატჩის დასაწყისი ტიპიური წინასასეზონო შეხვედრა იყო. იგრძნობოდა ფეხბურთელთა ორგანიზმის მოუმზადებლობა, მეტი წონა, ნაკლები სისწრაფე, სიფრთხილე და, მიუხედავად ამისა, თამაში მაინც საკმაოდ მაღალ ტემპში, საინტერესოდ წარიმართა.

ჩემპიონმა თავიდანვე მიაღწია უპირატესობას. ეს მოხდა არა მარტო იმის ხარჯზე, რომ სპარტაკელი მოთამაშეები თავიანთ მეტოქეებზე მაღლა დგანან ინდივიდუალური კლასით, უკეთ ფლობენ ბურთს, უფრო ზუსტი გადაცემები აქვთ. ეს თავისთავად. მაგრამ როგორც ყოველ ცალკეულ სათამაშო ეპიზოდში, ისე მთლიანად მატჩის მსვლელობის დროსაც, ნათლად შესამჩნევი იყო, რომ მოსკოველები გაცილებით მეტს მუშაობდნენ, გაცილებით მეტი მოცულობის დატვირთვას იღებდნენ თავიანთ თავზე, ვიდრე ქუთაისელი ფეხბურთელები. ეს ეხება ყველას. ვთქვათ, „სპარტაკის“ ფორვარდმა მეტოქესთან ბრძოლისას დაკარგა ბურთი. იგი მყისვე იწყებს ბრძოლას მის დასაბრუნებლად, ან თუნდაც იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ბურთის წამრთმევს რაიმე მანევრის სწორად და თავისუფლად შესრულებაში. ესაა პრინციპი, რომელსაც არ ივიწყებს არც ერთი მოთამაშე, სულ ერთია, მცველი იქნება ეს, ნახევარმცველი, თუ თავდამსხმელი.

ტორპედოელთა თამაშში ეს თვისება ნაკლებად ჩანს. როცა თავდამსხმელი ბურთს კარგავს, არც ის და არც მისი მეზობელი ფორვარდი იმავე მომენტში მთელი ძალით არ იბრძვიან დაკარგულის დასაბრუნებლად, რჩებიან შეტაკების ადგილზე და ბურთისთვის ბრძოლას აკისრებენ ნახევარმცველებს, რომლებიც ამ დროს შეტევაზე წამოსულ მოპირდაპირე ფეხბურთელებს უნდა ინაწილებდნენ ერთმანეთს შორის.

ამიტომ იყო, რომ ტორპედოელთა იშვიათ შეტევებს მხოლოდ წამიერი ხასიათი ჰქონდა. ერთი-ორი დრიბლინგი, გადაცემა და ბურთი მაშინვე სპარტაკელებს უვარდებოდათ ხელთ, რომლებიც საფუძვლიანად, მოფიქრებულად და ხანგრძლივად აწარმოებდნენ იერიშს. „ტორპედოს“ დაცვას დიდი დატვირთვა აწვა, საჯარიმო მოედნიდან ბურთის გამოტანა ძალიან ჭირდა.

მე-40 წუთზე ქუთაისელებმა საუკეთესოდ გაითამაშეს უბრალო, მაგრამ ეფექტური, სწრაფი კომბინაცია. შეტევაზე სპარტაკელები იყვნენ. მცველებმა მოიგერიეს ბურთი, იგი მოხვდა ქიქავასთან, შემდეგ, დაუყოვნებლივ ვეკუასთან. ამ უკანასკნელმა სწრაფი გარღვევით ზურგს უკან მოიტოვა ჯერ კალინოვი, შემდეგ ბელეი და გაიტანა ბურთი — 1:0 (ჩვენს გაზეთში გოლის ავტორად არასწორად იყო გამოცხადებული ხერხაძე).

„ტორპედო“ ტაიმს მოიგებდა, ბოლო წუთზე მცველებს უხეში შეცდომა რომ არ დაეშვათ. ოსიანინმა და სილაგაძემ ქუთაისელთა ხუთ მცველს შორის იოლად შეძლეს გაეთამაშებინათ ბურთი, რომელიც ზუსტი, ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბადეში მოსკოველთა მარცხენა გარემარბმა — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში იანკინმა კარგად დაამუშავა ბურთი და ხაუცხოო დარტყმით დააწინაურა „სპარტაკი“ — 2:1. მატჩის ანგარიში ამით ამოიწურა, თუმცა დარჩენილ დროში მოსკოველებმა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

შემდეგ ასეთივე საწვრთნელი შეხვედრა შედგა კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. მას ქუთაისელთა უფროს მწვრთნელთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ა. კოტრიკაძესთან ერთად ვუყურებდით და გუნდის ავ-კარგზე საუბარი ამ მატჩის ფონზე მიმდინარეობდა.

— მე მგონი, — თქვა ა. კოტრიკაძემ, — ქუთაისის „ტორპედო“ ჯერ არ მდგარა ასეთი რთული პრობლემის წინაშე. თვად წარმოიდგინეთ: 17 გუნდიდან უმაღლესი ლიგა სამმა უნდა დატოვოს. ეს საერთო რიცხვის მეექვსედზე მეტია. რა ამოცანაა 1970 წელს ტორპედოელთა წინაშე? ერთი — ადგილის შენარჩუნება უმაღლეს ჯგუფში. ასეთივე ამოცანის წინაშე დგანან, ჩემი აზრით, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, „ფახტაქორი“, „არარატი“, მინსკის „დინამო“. შეიძლება, „ზარია“ და „ჩერნომორეციც“. ადვილი წარმოსადგენია, რა კონკურენცია იქნება ამ გუნდებს შორის XIV ადგილის დასაკავებლად! ახლა ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამ გუნდებმა წლეულს საკმარისი შევსება მიიღეს „ა“ კლასის სხვა კოლექტივებიდან, ჩვენ კი მარტო საკუთარი რეზერვების იმედით ვართ. მართალია, მოვამზადეთ რამდენიმე ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშე, მაგრამ მათ ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება და სატურნირო ბრძოლის უნარი.

ესე იგი გამოდის, რომ ჩვენ საქმე არა გვაქვს ჩემპიონებთან და ლიდერებთან: ჩვენ უმთავრესად უნდა ვებრძოლოთ იმ გუნდებს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, მაგრამ იოლი შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი გადაწყვიტოს ერთმა ქულამაც კი, ამიტომ ეს ქულა უნდა ვეძიოთ ყველასთან, თვით ჩემპიონთანაც კი.

შემდეგ ტორპედოელთა მწვრთნელმა შეფასება მისცა კიევის „დინამოს“ თამაშს (მატჩი კიეველებმა მოიგეს — 2:1).

— ნახეთ, როგორი დატვირთვით თამაშობენ კიეველები! ენერგიის მაქსიმუმს ხარჯავს ყველა, უკლებლივ. თუ ბურთი აქვს ერთ მათგანს, მაშინვე იხსნება ორი-სამი პარტნიორი, რათა კომბინაციის გათამაშების რამდენიმე ვარიანტი შეიქმნას და მოწინააღმდეგემაც დაქსაქსოს თავისი ძალები მათთან ბრძოლისას. აი, ბურთი დაკარგა ონიშჩენკომ (კიეველთა მარცხენა გარემარბი). შეხედეთ, როგორი ენერგიით გამოეკიდა იგი მეტოქეს და მის დასახმარებლად მოეშურება ორივე ცენტრალური ფორვარდი — კაშჩეი და ვერყმეევი. ჩვენები ასე არ იქცევიან. ბურთის დაკარგვა თავისი კარიდან მოშორებით მათ არ მიაჩნიათ სახიფათო ამბად, ეს კი შეცდომაა. ერთხელ არ გამოედევნები ბურთიან მეტოქეს, ორჯერ, სამჯერ და მიიღებ კიდეც გოლს.

მცირე გამონაკლისის გარდა, ახლა ჩვენ არა გვყავს მაღალი კლასის ოსტატები, ამიტომ ამ ნაკლის კომპენსაცია უნდა მოვახდინოთ ენერგიისა და მონდომების მაქსიმალური გამოვლინების ხარჯზე. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ყოველ მატჩში უნდა იბრძოლონ ისე, როგორც არასდროს. თითოეულმა მოთამაშემ ყოველ მატჩში, როგორც იტყვიან, საკუთარ თავს უნდა გადააჭარბოს. სხვანაირად არაფერი გამოვა.

წლეულს ჩვენ ჩავატარეთ 3 საკონტროლო მატჩი და მივიღეთ 8 ბურთი. ეს დიდი ციფრია, ესე იგი, მეტი მუშაობა მართებთ მეკარეებს გოგიასა და გრძელიშვილს, აგრეთვე, მცველებს, რომლებიც პერსონალური მეურვეობის სისტემით თამაშს არჩევენ და ამის გამო ხშირად ვარდებიან მძიმე მდგომარეობაში. ხშირად ნახავთ, რომ ერთ მეტოქეს ჩვენი ორი მცველი ესხმის თავს, დაზღვევაზე კი ამ დროს არავინ ფიქრობს.

ნახევარდაცვაში გვაკლია თამაშის ტაქტიკური მთლიანობა და სინქრონული მოძრაობა. როცა ერთი ნახევარმცველი იბრძვის, სხვები მომლოდინის როლში არიან, ნახევარდაცვის ხაზი კი მობილური უნდა იყოს, და მოძრაობისას მუდამ იცავდეს მთლიანობას.

ჩვენი თავდამსხმელები ნაკლებ ბრძოლისუნარიანობას იჩენენ წინა ხაზზე, ამიტომ გუნდის შეტევას არა აქვს ხანგრძლივობა. სულ რამდენიმე წამი, რამდენიმე გადაცემა და, თუ იერიში კარში დარტყმით არ დამთავრდა, ბურთს მეტოქე ეუფლება ხოლმე.

ამას გარდა, ქუთაისის „ტორპედოში“ ჩემი მოსვლის პირველივე დღიდან თვალში მომხვდა ის, რომ მოთამაშეები არ იცავენ ე. წ. სათამაშო დისციპლინას, ივიწყებენ ადრე შემუშავებულ გეგმას და ხშირად საკუთარი იმპროვიზაციის იმედით რჩებიან. ახლა ასე არავინ თამაშობს. რა თქმა უნდა, ყოველ ფეხბურთელს უნდა შეეძლოს გარკვეულ სიტუაციებში იმოქმედოს ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად და როგორც ამას შექმნილი მდგომარეობა კარნახობს, მაგრამ ის საერთო სამოქმედო სქემა, ტაქტიკური ამოცანები, რომელიც წინასწარ მუშავდება, დაცული უნდა იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი დაკარგავს თავის სახეს და ქაოტურ უსისტემო ბრძოლას მიეჩვევა.

ქუთაისის „ტორპედოში“ წლეულს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. გუნდის ინტერესები უნდა დაიცვან ისევ იმათ, ვინც შარშან ძალზე ძნელ ბრძოლასა და კონკურენციაში შეძლო გათამაშების პირველ ეტაპზე წამყვან შვიდეულში მოხვედრა. რახან კოლექტივმა ეს შეძლო შარშან, იმედი მაქვს შეძლებს წლეულსაც.

თუ თებერვალში ჩატარებული საკონტროლო მატჩების მიხედვით ვიმსჯელებთ, შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი თანდათან აუმჯობესებს თამაშს და ჩემპიონატს მომზადებული შეხვდება. მაგრამ ჩვენ ყველანი ვგრძნობთ იმ რთულ პრობლემებს, რომლებიც წლევანდელ სეზონში დგას ჩვენი გუნდის წინაშე. კვლავ ვიმეორებ: ქუთაისელმა ფეხბურთელებმა წლეულს უნდა ითამაშონ ისე, როგორც არასდროს — სრული მობილიზებით, ძალების მაქსიმალური დაძაბვით. ვეტერანთა გამოცდილება და ოსტატობა, ახალგაზრდების ენერგია საშუალებას მოგვცემს წარმატებით ვიბრძოლოთ და შევინარჩუნოთ ის ადგილი უმაღლეს ჯგუფში, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ დამსახურებულად ეკუთვნის.

ჩვენც სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის „ტორპედო“ თავის სიმაღლეზე აღმოჩნდება.

ბ. ძორძაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოჭი.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

# მათი შინაური საქმენი



ერთ კვირაში განახლდება კალათბურთელ ვაჟთა XXXVII ჩემპიონატი. იმისთვის, რომ ერთთვიანი შესვენების შემდეგ მეორე წრის შეწყვეტილი პოზიცია გავიხსენოთ და ნელ-ნელა საქმის კურსში შევიდეთ, ურიგო არ იქნება გადავხედოთ მონაწილეთა გუნდურ მაჩვენებლებს.

XVI ტური მეორე წრის საშუალედო ფინიში იყო — ჩემპიონატის ნახევარი, ამიტომაც მან ასე თუ ისე კონკრეტული ლაპარაკის უფლება მოგვცა. დღეს ჩვენ არაფერს ვიტყვით გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ ჩემპიონატს ლიდერობს ცსკა, თბილისის „დინამო“ VII ადგილზეა, „ბურევესტნიკი“ — IX. ვიცით ისიც, რომ გათამაშებას ჰყავს სამი გამოკვეთილი აუტსაიდერი და ა. შ.

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა უფრო სხვაგვარია. იგი მეტწილად გუნდების შინაურ საქმეებს ეხება და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც ინტერესმოკლებული არ იქნება.

16 კალათბურთელი — ეს საკონტროლო ციფრია ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებისთვის. 16 ტურში 16 კალათბურთელი მხოლოდ სამმა გუნდმა ათამაშა. ზოგმა კოლექტივმა თავის თავს ასეთი ფუფუნების უფლება კარგი ცხოვრების გამო მისცა, ზოგმა კი პირიქით. ცსკა, მაგალითად, ცდის რეზერვს, ბრძოლაში აწრთობს ახალგაზრდებს, იმიტომ, რომ ჰყავს კარგი შევსება და დიდი გეგმებიც აქვს. იგივე ითქმის „ჟალგირისზეც“. სხვა მდგომარეობაა რიგის არმიელთა გუნდში, რომელიც ხავსს ეჭიდება და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა „ა“ კლასში დარჩეს. ამიტომაა, რომ მან დაიბრუნა ეგლიტისი და კიდევ რამდენიმე ადრე „დაწუნებული“ კალათბურთელი.

კიევის „სტროიტელმა“ და ლენინგრადის „სპარტაკმა“ წლეულს საყოველთაო ქება დაიმსახურეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ისინი ფაქტიურად ერთი შემადგენლობით თამაშობენ („სტროიტელი“ — გლადუნი, სმოლიაკოვი, ფილოზოფი, პოლივოდა, ვალტინი, კოვალენკო; „სპარტაკი“ — ბოლშაკოვი, ფიოდოროვი, ბიკოვი, ა. ბელოვი, ლ. ივანოვი, იუმაშევი, ვოლჩკოვი და შტუკინი) რაც, ჩვენი აზრით, რეზერვის უკმარისობის ბრალია.

ორიოდე სიტყვა პერსონალურ შეცდომებზე. ჯარიმას კალათბურთელი მეტწილად მაშინ იღებს, როცა მეტოქეს ხელს უშლის კალათში ბურთის ჩაგდებაში. მაგრამ არიან გუნდები, რომლებსაც უყვართ მჭიდრო თამაში და ხშირადაც ჯარიმდებიან. ცხადია, გუნდს პერსონალურ შეცდომათა სიმრავლეს ვერ უსაყვედურებ, ვინაიდან საბოლოო ჯამში იგი ოსტატობის ხარისხს არ განსაზღვრავს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცოტა ჯარიმა კორექტული თამაშისადმი ლტოლვას გულისხმობს. ამ მხრივ სამაგალითოა თბილისის „დინამო“, როგორც ყველაზე ნაკლებად დასჯილი გუნდი — 15 კალენდარულ შეხვედრაში 375 ჯარიმა.

ახლა კი გთავაზობთ ცხრილს, რომლის პირველი სვეტი აღნიშნავს, თუ განვლილ 16 მატჩში რომელმა გუნდმა რამდენი კალათბურთელი ათამაშა, მეორე — ჯარიმათა საერთო რაოდენობას, მესამე — გატანილი და მიღებული ქულების სხვაობას ყოველ მატჩში საშუალოდ.

| | მოთამაშე | ჯარიმა | სხვაობა |
|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 511 | 83—70 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 16 | 469 | 80—74 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 13 | 399 | 82—74 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 13 | 508 | 79—70 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 14 | 415 | 82—76 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 479 | 83—80 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 375 | 76—78 |
| ასკ (კიევი) | 15 | 507 | 72—73 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 14 | 492 | 74—83 |
| ასკ (რიგა) | 16 | 561 | 71—80 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 14 | 486 | 74—82 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 14 | 383 | 73—82 |

ნ. ბუზუშვილი.

# ხალიჩაზე — რკინიგზელი სამბისტები

გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზელი სპორტსმენების პირადგუნდური პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, სამტრედიისა და ერევნის ნაკრები გუნდები.

I ადგილი 21 ქულით მასპინძელთა—თბილისის ნაკრებმა დაისაკუთრა.

წონითი კატეგორიების მიხედვით „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ზ. აბესაძე (სამტრედია), ჩ. გაბრიელიანი (ერევანი), თ. გოგოჭური, ვ. პავლიაშვილი, რ. ჯიკაიძე, მ. მუზაევი (ყველა — თბილისი). გ. ონიანი (სამტრედია), ს. სულიაშვილი (თბილისი).

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები, რომელმაც მონაწილეობა მიიღო „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში. ამ ასპარეზობაში, რომელიც ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა, საქართველოს სამბისტებმა გუნდური II ადგილი დაისაკუთრეს.

პირად ჩათვლაში ასევე II ადგილებზე გავიდნენ გაბრიელიანი, გოგოჭური, პავლიაშვილი, მუზაევი, პ. სულიაშვილი.

ჯ. ხუბუა.

# პლასტიკატი და... ჩოგბურთი

მოსკოვი, 22 თებერვალი. ცსკა-ს საჩოგბურთო სასახლის მწვანე პლასტიკატის კორტებზე მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის ერთ კვირას იბრძოდნენ ინგლისის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. „ზედმეტი ბილეთის პრობლემა“ განსაკუთრებით იგრძნობოდა დღეს, როცა გამარჯვებულთა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

მანამდე კი, შაბათს, გამოვლინდნენ უძლიერესები ქალთა და ვაჟთა წყვილებში. ვაჟთა დუეტებში ყველას აჯობეს თბილისელმა ა. მეტრეველმა და ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა, ხოლო ქალთა შორის — ინგლისელებმა ჯ. უილიამსმა და ნ. ტრუმენმა. ძველმა სპორტულმა მეგობრებმა — მეტრეველმა და ლიხაჩოვმა გადამწყვეტ მატჩში სძლიეს მოსკოველებს ვიაჩ. ეგოროვსა და ვ. კოროტკოვს — 7:5, 7:5, 2:6, 8:6, ხოლო ინგლისელებმა — თ. მოროზოვასა და ზ. იანსონეს — 7:5, 7:5.

მოროზოვას დღეს ბედმა გაუღიმა მეტრეველმა, როცა ამ შერეულმა დუეტმა ფინალურ მატჩში ფარ-ხმალი დააყრევინა ძლიერ ინგლისურ „ტანდემს“ — ტრუმენსა და ჯ. კლიფტონს — 5:7, 9:7, 6:3.

საინტერესო იყო გფრ-ის ჩემპიონის, 28 წლის ჰ. ნისენისა და მოროზოვას ფინალური მატჩი. ბიჭურად თმა შეკრეჭილ, ქერა ნისენს წინადღით კორესპონდენტებმა ჰკითხეს, ვინ დაუმარცხებია სახელგანთქმულ მეტოქეთა შორის. ეს ფლეგმატური, ტანმაღალი სპორტსმენი ერთბაშად გამოცოცხლდა და აზარტით პირდაპირ თითებზე ჩამოთვალა: „როზმარი კაზალსი, მარგარეტ კურტი, ვირჯინია უეიდი, ბილი-ჯინ მოფიტ კინგი“, და კიდევ ათობით ცნობილი სპორტსმენი.

ნისენმა ამჯერადაც საუცხოოდ ითამაშა და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის ლაურეატის წოდებაც მოიხვეჭა. მატჩის ანგარიშია 7:5, 2:6, 6:3.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ვაჟთა გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ძველი ნაცნობები — მოსკოველი კოროტკოვი და თბილისელი თ. კაკულია. თუ ჩვეულებრივ კორტებზე კოროტკოვი უფრო ხშირად აგებს კაკულიასთან, ხელოვნურსაფარიანმა კორტმა უპირატესობა მოსკოველს მოუტანა. დიდი მოქნილობის და სისწრაფის მიუხედავად, თბილისელი ხშირად ვერ ასწრებდა პლასტიკურსაფარიანი კორტიდან ტყვიასავით ასხლეტილი ბურთის მოგერიებას და ვერც ერთი ხელი ვერ მოიგო — 2:6, 4:6, 5:7. ამ წაგების მიუხედავად, კაკულიამ საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. მარტო ის რად ღირს, რომ ნახევარფინალში მან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს თ. ლეიუსს დააყრევინა ფარ-ხმალი.

# ბრძოლა ჭადრაკის დაფაზე

ჭადრაკი ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნებისა და მეხსიერების განვითარებას, ნებისყოფისა და თავშეკავების უნარის გამომუშავებას. იგი კარგი ვარჯიშია გონებისთვის. ეს თამაში საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, ღრმა ესთეტიკური შინაარსი აქვს, ხოლო უმნიშვნელო მატერიალური ხარჯი მას ჭეშმარიტად სახალხო სახეობად, კულტურული დასვენებისა და ადამიანის შემოქმედებითი უნარის გაშლის საუკეთესო საშუალებად აქცევს.

ეს ყველაფერი ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის დადგენილებაში „ახალგაზრდობას შორის ჭადრაკის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა შესახებ".

მაგრამ ბევრი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაცია ჭადრაკის მასობრივ განვითარებას სათანადო ყურადღებას არ უთმობს. სკოლების უმეტესობაში არ მუშაობს საჭადრაკო წრეები და სექციები, შემცირდა სტუდენტთა საჭადრაკო კლუბების რიცხვი.

დადგენილებით დასახულია კონკრეტული ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჭადრაკის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას. მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა, კომკავშირის საოლქო და სამხარეო კომიტეტებმა, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა აქტიურად უნდა მიიზიდონ დიდოსტატები, ოსტატები და თანრიგოსნები შეჯიბრებების ორგანიზაციისა და ჩატარების, ახალბედა მოჭადრაკეებთან მეცადინეობის მიზნით. მათ შეფობა უნდა გაუწიონ სკოლებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობებს და სამხედრო ქვეგანაყოფებს.

განზრახულია წლეულს დაიწყოს საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ოთხ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე — 1970 წლის ივლის-დეკემბერში — შეჯიბრებები ჩატარდება ქარხნების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, სასწავლებლების, დაწესებულებების, სახლმმართველობებისა და სხვა ფიზკულტურის კოლექტივებში.

ნორჩი მოჭადრაკეებისთვის ყოველწლიურად ჩატარდება პიონერული რაზმეულების შეჯიბრება „თეთრი ეტლის" კლუბის პრიზზე.

## საქვეყნო მოვლენა

# 26.000-კილომეტრიანი მარათონი

საბჭოთა ავტოსპორტსმენებმა დაიწყეს მზადება ახალი გიგანტური გადარბენისთვის: ლონდონი — მეხიკო. მარათონის ორგანიზატორია ინგლისის გაზეთი „დეილი მირორი", რომელმაც ეს ღონისძიება ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას დაუკავშირა.

19 აპრილს 106 ეკიპაჟი ლონდონში აიღებს სტარტს თითოწუთიანი ინტერვალებით, 27 მაისს კი მეხიკოში ფინიშში მოეწყობა.

26.000-კილომეტრიანი ტრასა ევროპის 25 და ამერიკის 2 სახელმწიფოს გზებზე გაივლის. ეს მანძილი უაღრესად ძნელი იქნება. ასიდან ათას კილომეტრამდე სიგრძის 19 მონაკვეთზე განზრახულია გამოცდა სისწრაფეში. კოლუმბიაში, სადაც ბოლო გადასასვლელი მოეწყობა წყალზე, ხომალდზე აიტანენ მხოლოდ იმ 35 მანქანას, რომელთაც საუკეთესო შედეგები ექნებათ.

საბჭოთა გუნდი გამოვა ხუთი სერიული „მოსკვიჩ-412"-ით. გუნდისა და მანქანების მომზადება ითავეს ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხანამ და „ავტოექსპორტმა". ვინ მართავს „მოსკვიჩებს" და როგორია მათი სასტარტო ნომრები კენჭისყრის შემდეგ?

21-ე ნომრით გამოვლენ ი. ასტაფიევი, ა. საფონოვი, ს. ბრუნძა, 28-ე ნომრით აიღებენ სტარტს ლ. პოტაპჩიკი, ი. ლისოვსკი და ე. ბაჟენოვი, № 40 ხვდა ს. ტენიშჩევს, ვ. კისლიხის და ვ. შიროჩენკოვის ეკიპაჟს. 71-ე ნომრით იასპარეზებენ გ. ხოლმი, ვ. ბუბნოვი და კ. გირდაუსკასი, 84-ე ნომრით — ე. ლიფშიცი და ბ. შჩაველევი. ყველანი გამოცდილი და მამაცი მრბოლელები არიან.

ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენებს კეთილი სტარტები და ბედნიერი ფინიში!

**რ. ჩერტოვი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ავტოსპორტში.

„პრავდა", № 53 (18831).

• •

# კვლავ იუგოსლავიაში

საჭადრაკო სამყაროში დიდად გაითქვა სახელი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ტრადიციულად ქალთა დღესასწაულს — 8 მარტს ეძღვნება. იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ ამ მიმზიდველი შეჯიბრების ტრადიციას დასაბამი 1965 წელს მისცა. ტურნირის ლაურეატები იყვნენ: 1965 წელს — ე. ბილეკნე (უნგრეთი), 1966 წელს — ნ. გაფრინდაშვილი და ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 1967 წელს — ტ. ზატულოვსკაია (ნონამ II ადგილი დაიკავა), 1968 წელს — ნ. გაფრინდაშვილი, 1969 წელს — ნ. ალექსანდრია.

**ნ. გაფრინდაშვილი ითამაშებს ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირში**

წლევანდელ შეჯიბრებაში სათამაშოდ მასპინძლებმა მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია იმის გამო, რომ ამას წინათ ნანამ ჰოლანდიაში ითამაშა და უნივერსიტეტში მეცადინეობითაა დაკავებული, მის მაგიერ ბელგრადს გაემგზავრება მოსკოველი ა. კუშნირი.

ბელგრადის ქალთა VI საერთაშორისო ტურნირში მოსალოდნელია 16 მოჭადრაკის მონაწილეობა.

— ორიოდე დღეა მივიღე ოფიციალური მიწვევა, — მითხრა მსოფლიო ჩემპიონმა. — როგორც ჩანს, საინტერესო შემადგენლობა იყრის თავს.

და ნონამ გადმომცა მონაწილეთა სია. მასპინძლები იტყობინებიან, რომ ელიან ცნობილ საერთაშორისო ოსტატებს: რუმინელ ნიკოლაუს, უნგრელ ივანკას, ჩეხოსლოვაკიელ მალიპეტროვას, ჰოლანდიელ ვრეკენს, პოლონელ რაძიკოვსკას და ბულგარეთის ჩემპიონს ან ვიცე-ჩემპიონს.

ტურნირში ითამაშებენ უძლიერესი იუგოსლავიელი მოჭადრაკეები, ცნობილი საერთაშორისო ოსტატები ლაზარევიჩი, ნედელკოვიჩი, შტადლერი, კონარკოვსკა-სოკოლოვა, ბელამარიჩი, კ. იოვანოვიჩი და მისი და რუჟიცა — იუგოსლავიის ამჟამინდელი ჩემპიონი. ითამაშებს აგრეთვე ამ შეჯიბრებისთვის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული მოჭადრაკე (მისი გვარი წერილში არ არის დასახელებული).

—ტურნირი 27 მარტამდე გასტანს, მაგრამ ვფიქრობ, დავრჩე ბელგრადში და დავესწრო საბჭოთა კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს" მოჭადრაკე ვაჟთა გუნდების შეხვედრას. ეს ძალიან საინტერესო იქნება, — თქვა ნონამ.

მსოფლიო ჩემპიონი უკვე ემზადება ძნელი ტურნირისთვის. იუგოსლავიას იგი 4 მარტს გაემგზავრება.

**თ. გიორგაძე.**

◆ **პალერმო,** 23 თებერვალი. გუშინ თბილისის „დინამომ" ადგილობრივ ფეხბურთელებთან წააგო შეხვედრა — 1:2 (0:0). მასპინძლებმა შესვენების შემდეგ მთლიანად შეცვალეს შემადგენლობა. იტალიელთა კარში ბურთი გაიტანა კუტივაძემ.

◆ **სან-სალვადორი,** 23 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები 48 საათის განმავლობაში მეორედ გამოვიდა მინდორზე: პერუს ეროვნულ გუნდთან შეხვედრის შემდეგ სალვადორის ნაკრებს ეთამაშა. მატჩი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა პუზაჩმა, შესვენების შემდეგ კი სერებრიანიკოვმა მეორე ბურთი მოათავსა სალვადორელთა კარში. სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, კაპლიჩნი (ხურცილავა), სერებრიანიკოვი, მუნტიანი, პაპაევი, პუზაჩი (ლოგოფეტი), გერშკოვიჩი, ნოდია.

◆ **მეხიკო,** 23 თებერვალი. მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლებმა — მექსიკელებმა „აცტეკის" სტადიონზე ფრედ (0:0) ითამაშეს შვეციის ნაკრებთან. მატჩს 30 ათასი მაყურებელი დაესწრო.

# სტარტი აღებულია

ფოთი, 23 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გასულ პარასკევს ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXI ჩემპიონატი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ჯუგენავამ.

ცნობილ მოჭადრაკეებს ზღვისპირა ქალაქის საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა ფოთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. მოწერელია. სტუმრების სახელით გამოვიდნენ საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე და ოსტატი ა. ბუსლაევი.

პიონერებმა მოჭადრაკეებს ყვავილების თაიგულები გადასცეს და კენჭისყრაც შედგა. აი, მისი შედეგები:

1. ა. იზვოზჩიკოვი, 2. მ. ტალი, 3. ს. ჩეჩელიანი, 4. ზ. მიქაძე, 5. ე. უბილავა, 6. ა. ბუსლაევი, 7. ბ. გურგენიძე, 8. რ. ჯინჯიხაშვილი, 9. დ. გედევანიშვილი, 10. ლ. ნეურონოვი (ბათუმი), 11. დ. ჯანოევი, 12. ა. ბოკუჩავა, 13. მ. ლევინი, 14. ი. ჩიქოვანი, 15. თ. გიორგაძე.

შაბათს ჩემპიონატმა სტარტი აიღო.

I ტური. გურგენიძე — ნეურონოვი 1:0, ჯინჯიხაშვილი — გედევანიშვილი 1:0, ლევინი — მიქაძე 1:0, ბოკუჩავა — უბილავა 0,5:0,5, ბუსლაევი — ჯანოევი 0,5:0,5, ჩიქოვანი — ჩეჩელიანი გადაიდო, გიორგაძე — ტალი არ შედგა. ისვენებდა იზვოზჩიკოვი.

დიდ ინტერესს იწვევს ჩემპიონატში დიდოსტატ მ. ტალის მონაწილეობა (უკონკურსოდ), მაგრამ სახელოვანმა მოჭადრაკემ დააგვიანა ფოთში ჩამოსვლა.



ალსანიშნავია გურგენიძის თანმიმდევრული ბრძოლა ნეურონოვთან შეხვედრაში.

ჯინჯიხაშვილს თავიდან უარესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მერე მან აჯობა გამოუცდელ გედევანიშვილს.

თბილისის ჩემპიონს ჩეჩელიანს უარესი პოზიცია აქვს ჩიქოვანთან გადადებულ პარტიაში.

II ტური. იზვოზჩიკოვი — ტალი 0:1, ნეურონოვი — ჯინჯიხაშვილი 0:1, ჯანოევი — გურგენიძე 0:1, ბოკუჩავა — ბუსლაევი 0:1, ჩიქოვანი — მიქაძე 0:1, გიორგაძე — ჩეჩელიანი 0,5:0,5, ლევინი — უბილავა გადაიდო. ისვენებდა გედევანიშვილი.

საინტერესოა, რომ ამ დღეს იმარჯვეს შავი ფიგურებით მოთამაშეებმა. ტალმა იზვოზჩიკოვს მწვავე ბრძოლა შესთავაზა და კრიტიკულ მომენტში ფიგურაც შესწირა. შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ კომბინაციას მხოლოდ ყაიმი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ცაიტნოტში იზვოზჩიკოვმა უსწოროდ ითამაშა.

ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა ბუსლაევ — ბოკუჩავას შეხვედრა. პარტიის ბედი აქაც ცაიტნოტში გადაწყდა. რთულ პოზიციაში გადაიდო ლევინ — უბილავას შეხვედრა.

**ი. ლოლუა,**
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## 20.45

# 24 ფინალისტი

პარიზი, 21 თებერვალი. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა თექვსმეტმა, არამედ ოცდათოთხმა ნაკრებმა გუნდმა, — ასეთია ფიფა-ს პრეზიდენტის ს. როუზის შეხედულება, რომელიც მან ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" ფურცლებზე გამოთქვა. ამ საკითხს ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა 1970 წლის ივნისში განიხილავს მეხიკოში.

როუზს მიაჩნია, რომ ევროპის კონტინენტმა ფინალში ორი დამატებითი ადგილი უნდა მიიღოს, სამხრეთ და ცენტრალურმა ამერიკამ — თითო, აზიამ და აფრიკამ — ორ-ორი.



## სპორტული ქრონიკა

**მოსკოვი,** 22 თებერვალი. ადგილობრივ აუზ „ოქტიაბრში" მოასპარეზე წყალქვეშ ცურვის უძლიერესმა საბჭოთა ოსტატებმა კიდევ 5 ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. ნოვოსიბირსკელმა ნ. ოკუნევამ 100 მ ფარფლებით 53,6 წამში გაცურა, ხოლო ახალგაზრდა ნადეჟდა ტურუკალომ (უსტ-კამენოგორსკი) 25 მ წყალქვეშ — 10,7 წამში. მოსკოველმა ვ. ბარდაშევიჩმა 400 მ ფარფლებით 3 წუთსა და 43,4 წამში დაფარა, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ა. კრასნიკოვმა 800 მ — 7 წუთსა და 54,6 წამში. კიდევ ერთი საკავშირო რეკორდის მფლობელი გახდა მოსკოველი ვ. მელნიკოვი — მან აკვალანგით წყალქვეშ 100 მ 46,1 წამში გაცურა. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ამ საკავშირო შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წარმომადგენლებმა.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ჯერ კიდევ არ ალიარებს ქალთა ფეხბურთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დეკემბერში დამთავრდა ქვეყნის მეორე ჩემპიონატი სწორედ ქალთა შორის. რეგულარულად ტარდება საერთაშორისო შეხვედრებიც. მაგალითად, ამას წინათ იტალიელები შეხვდნენ პრაღის ქალთა გუნდს „სლავიას", ხოლო შემდეგ დაამარცხეს დანიის ნაკრები — 3:1. ტურინის სტადიონზე გამართულ ამ მატჩს, რომელიც ევროპის ჩემპიონის არაოფიციალური ტიტულისთვის შეხვედრა იყო, 12 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

სურათზე: იტალიელებს მესამე გოლი გააქვთ.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04162